საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-521

23/04/2021

ქ. თბილისი

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის „კურორტ „გოდერძის“ მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის“ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წლის 23 მარტს, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა „კურორტ „გოდერძის“ მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის“ პროექტი და სკრინინგის განცხადება.

აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი და სკრინინგის განცხადება, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” შესაბამისად, განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა (https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/31644) და ხულოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე (http://khulo.ge/ge/proeqtebi).

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი მდებარეობს ხულოს მუნიციპალიტეტში, კურორტ „გოდერძის“ მომიჯნავე ტერიტორიაზე. ტერიტორიის საერთო ფართობია 114.9ჰა, რომელიც არ არის განაშენიანებული. ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს სოფელი დანისპარაული. ამასთან, საპროექტო ტერიტორიას კვეთს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა (ბათუმი-ახალციხე).

„კურორტ „გოდერძის“ მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის“ განვითარების კონცეფციით გათვალისწინებულია სხვადასხვა ინტენსივობის მქონე საცხოვრებელი უბნების, სასტუმრო კომპლექსის, საზაფხულო ბანაკის და სპორტული ცენტრის მშენებლობა. არქიტექტურული მოცულობითი გადაწყვეტა კი ითვალისწინებს 4 ტიპის განაშენიანებას.

დოკუმენტის მიხედვით, პროექტის განხორციელება დადებით ზეგავლენას იქონიებს სოციალურ გარემოზე. შეიქმნება დასვენებისა და სხვადასხვა აქტივობებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, დროებითი სამუშაო ადგილები, რაც გააუმჯობესებს დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, განვითარების კონცეფცია შედგება ქალაქმშენებლობითი და არქიტექტურული-მოცულობითი გადაწყვეტისგან. ქალაქმშენებლობითი გადაწყვეტის მიხედვით, ბათუმი-ახალციხის შიდასახელმწიფოებრივი გზის აღმოსავლეთ მხარეს დაგეგმილია საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება, კერძოდ, ამაღლებულ ტერიტორიაზე (პანორამული ხედით) სასტუმრო კომპლექსის შექმნა, საზაფხულო ბანაკისა და სპორტული ცენტრის განთავსება.

გზის დასავლეთ მხარეს (გზიდან მოშორებით) დაგეგმილია საცხოვრებელი უბნების განთავსება, სადაც სამი ურთიერთდაკავშირებული დაბალსართულიანი განაშენიანება განვითარდება შიდაკვარტალური რეკრეაციებით და ცენტრალური გზიდან კვარტლებში ორი დამოუკიდებელი შესასვლელით.

ტერიტორიაზე გამოყოფილია ბიატლონისთვის არენის, სასროლეთისა და საჯარიმო წრისთვის გამოსაყენებელი არეალი. ასევე შესაძლო შიდა კავშირისათვის (კურორტ გოდერძის ძირითად ნაწილთან) განკუთვნილი საბაგირო გზის მოწყობის სავარაუდო ტერიტორია.

არქიტექტურულ-მოცულობითი გადაწყვეტის მიხედვით საცხოვრებელი ზონები დაგეგმილია ოთხი ტიპის განაშენიანებით:

1. **სააგარაკე საცხოვრებელ ზონა** - წარმოდგენილი იქნება ინდივიდუალური საცხოვრებელი კოტეჯების სახით, რომელთა სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 2 სართულს მანსარდული ან ნახევრადმანსარდული სართულის ჩათვლით.

2. **დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა -** აღნიშნულ ზონაში შესაძლებელია ერთიანი სისტემაში მოქცეული მცირე საოჯახო სასტუმროების ან ინდივიდუალური საცხოვრებელი ბლოკირებული სახლების მშენებლობა, რომელთა სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 3 სართულს მანსარდული ან ნახევრადმანსარდული სართულის ჩათვლით.

3. **საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა** - აღნიშნულ ზონაში შესაძლებელია ცალკე მდგომი მრავალბინიანი ან საოჯახო სასტუმროს მშენებლობა, რომელთა სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 5 სართულს მანსარდული ან ნახევრადმანსარდული სართულის ჩათვლით.

4. **მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა -** აღნიშნულ ზონაში დაგეგმილი სასტუმროების მშენებლობა, მიზანშეწონილია განხორციელდეს ჩამოყალიბებული რელიეფის გათვალისწინებით - ტერასულად, რომლის სართულების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 6 სართულს მანსარდული ან ნახევრადმანსარდული სართულის ჩათვლით.

დოკუმენტით გათვალისწინებული ტერიტორიის განაშენიანების წინასწარი ტექნიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

- სააგარაკე საცხოვრებელი ზონა სზ-1 - 7,70 ჰა;
- დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა სზ-2 - 1,84 ჰა;
- საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა სზ-3 - 2,68 ჰა;
- მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა სზ-4 - 0,83 ჰა;
- შიდაკვარტალური რეკრეაცია - 9,07 ჰა;
- სპორტული ზონა - 1,82 ჰა;
- სპორტული ზონა (ბიატლონი) - 2,02 ჰა;
- საზაფხულო ბანაკის ზონა - 3,63 ჰა;
- საერთო სარგებლობის ავტოსადგომები - 1,02 ჰა;
- საპროექტო შიდაკვარტალური საავტომობილო გზები - 3,28 კმ;
- სარეზერვო ტერიტორიების გამოყენების მიახლოებითი პოტენციალი - 3,0 ჰა.

სკრინინგის განცხადება მოიცავს ინფორმაციას დოკუმენტის განხორციელების არეალის ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურის, ატმოსფერული ნალექის, თოვლის საფარის, ქარის სიჩქარის და მიმართულების, საკვლევი რაიონის გეოლოგიურ-ჰიდროგეოლოგიური დახასიათების შესახებ.

დოკუმენტის მიხედვით, ხულოს მუნიციპალიტეტის მრავალ სოფელში, ყოველწლიურად, უხვ ნალექებს, თოვლის დნობასა და ამინდის გაუარესებას ხშირად ახლავს მეწყერული პროცესების გააქტიურება. ასევე მოცემულია აჭარის რეგიონში სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში არსებული დასახლებული პუნქტების ილუსტრაცია, რომლის მიხედვითაც საკვლევ არეალზე ასახულია სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფების აქტივობა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გრავიტაციული პროცესებით (ჩამოქცევა, მეწყერი, ჩამოშლა) დაზიანებული ფართობების უმეტესობა გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად, რაც დიდ ზეგავლენას ახდენს მეწყრული პროცესების აქტივიზაციაზე. სასოფლო გზების გასწვრივ არ არის გაყვანილი სადრენაჟო არხები. შედეგად, ტერიტორიაზე წარმოქმნილი ღვარცოფული ნაკადები მიედინებიან უსისტემოდ და ხელს უწყობენ გეოლოგიური პროცესების აქტივიზაციას.

დოკუმენტის მიხედვით, ტერიტორიის და მისი მიმდებარე ტერიტორიების ფაუნა, ფლორისტულთან შედარებით მეტად მრავალფეროვანია, განსაკუთრებით ორნითოფაუნის კუთხით. რეგიონში გვხვდება, საქართველოს წითელი ნუსხით, IUCN-ით, ბერნის და ბონის კონვენციებით დაცული, ასევე ენდემური და იშვიათი სახეობები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ლიტერატურული წყაროების მეშვეობითა და საველე კვლევის შესაბამისად საკვლევ ტერიტორიაზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ხელფრთიანთა 15 სახეობაა გავრცელებული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო არეალის ნაწილი კვეთს ზურმუხტის ქსელის შეთავაზებულ საიტს - „გოდერძი GE0000026“. თუმცა, 2020 წელს სამინისტროს მიერ განხორციელდა აღნიშნული საიტის საზღვრების კორექტირება. დღევანდელი მონაცემებით, საპროექტო არეალი “გოდერძის” საიტიდან დაშორებულია

დაახლოებით 900 მეტრით. ტერიტორიაზე გავრცელებულია ევროპის ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციით დაცული სახეობები და ჰაბიტატები. აღნიშნული მანძილისა და დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების გათვალისწინებით მოსალოდნელია ზემოქმედება ,,გოდერძის" საიტზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ხედვების განხორციელებამ გარემოს კომპონენტებზე შესაძლოა იქონიოს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედება.

ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებული იქნება ხედვების სპეციფიკაზე, მის განხორციელების ხანგრძლივობაზე და გარემოს კომპონენტების მგრძნობელობის ხარისხზე.

დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება, დოკუმენტის მიხედვით, დაკავშირებული იქნება შემდეგ საქმიანობებთან:

- სხვადასხვა ინტენსივობის საცხოვრებელი ზონების მოწყობა;
- სპორტული ზონების, მათ შორის ბიატლონის მოწყობა;
- საბაგიროს მოწყობა;
- სასტუმროს კომპლექსის მოწყობა;
- საზაფხულო ბანაკების მოწყობა;
- ავტოსადგომის მოწყობა;
- საავტომობილო გზების მოწყობა.

გამოწვეულ ზემოქმედებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი შემდეგი სახით:
- ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების ემისიები;
- ხმაური და ვიბრაცია;
- ჩამდინარე წყლებით დაბინძურება;
- ნარჩენებით დაბინძურება;
- ავარიული დაღვრებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება.

უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელია შემდეგ რეცეპტორებზე:
- ატმოსფერული ჰაერი;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები;
- ბიოლოგიური გარემო;
- სოციალური გარემო.

დოკუმენტის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ზემოქმედების ხარისხი იქნება დაბალი.

საპროექტო კონცეფციების განხორციელებით ნიადაგზე და გრუნტზე პირდაპირ უარყოფით ზემოქმედებას გამოიწვევს ისეთი ინფრასტრუქტურის მოწყობა, როგორიცაა საცხოვრისები, შიდა გზები, ავტოსადგომები, სპორტული ინფრასტრუქტურა, საბაგირო, სასტუმრო კომპლექსი და სხვა. დოკუმენტის მიხედვით, წინასწარი შეფასებით,

გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით ნიადაგსა და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედება საშუალო მნიშვნელობის იქნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, კონცეფციების განხორციელებით უარყოფითი ზემოქმედება იქნება ზედაპირულ წყლებზე (სამშენებლო ნარჩენების და მასალების ჩაყრა, ნავთობპროდუქტების ავარიული ჩაღვრა და სხვა). მიწისქვეშა წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია ავარიული დაღვრების შემთხვევაში, რისთვისაც გათვალისწინებული იქნება ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების სათანადო ღონისძიებები.

დოკუმენტის მიხედვით, ტერიტორიაზე არის მცირე ზომის მდინარეები, რომლებიც მდინარე აჭარისწყალს უერთდება. ამასთან, კონცეფციის მიხედვით, საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონების, საფეხმავლო და საავტომობილო გზების და ბიატლონის მოწყობა დაგეგმილია ტერიტორიაზე არსებული მცირე მდინარეების სიახლოვეს.

კონცეფციების განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ზედაპირულ წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება სამშენებლო ნარჩენების და მასალების ჩაყრით, ნავთობპროდუქტების ავარიული ჩაღვრით და სხვა. დოკუმენტის მიხედვით, კონცეფციებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურისთვის უნდა მოეწყოს საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობა, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ზედაპირულ წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების ხარისხს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, პროექტით გათვალისწინებული კონცეფციების განხორციელება მცენარეულ საფარზე იქონიებს პირდაპირ და არაპირდაპირ უარყოფით ზეგავლენას. ინფრასტრუქტურის მოსაწყობად შერჩეულ ტერიტორიებზე შესაძლებელია საჭირო გახდეს ხე-მცენარეთა მოჭრა, ამასთან, მცენარეული საფარის დაზიანება შესაძლოა ასევე გამოიწვიოს ნიადაგის დატკეპნამ და დაბინძურებამ. მოჭრას დაქვემდებარებული ინდივიდების სახეობა და რაოდენობა განისაზღვრება შემდგომ ეტაპზე.

დოკუმენტით გათვალისწინებული კონცეფციების განხორციელების შედეგად გამოწვეული ხმაურის მომატება, მტვერი და სატრანსპორტო გამონაბოლქვი უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ფაუნაზე. დოკუმენტის მიხედვით, ტერიტორია მსხვილი ძუძუმწოვრებისთვის და მტაცებლებისთვის საბინადრო გარემოს არ წარმოადგენს, რადგან ტერიტორია იკვეთება შიდასახელმწიფოებრივი ბათუმი-ახალციხე საავტომობილო გზით და უშუალოდ ესაზღვრება კურორტი გოდერძი. დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებამ შესაძლოა ფაუნის სახეობების დროებითი შეშფოთება გამოიწვიოს, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება კონცეფციით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების სპეციფიკასა და მასშტაბებზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო კონცეფციები თავისი მასშტაბიდან გამომდინარე გარემოზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს. საპროექტო კონცეფციების განხორციელების შემთხვევაში, გათვალისწინებულია შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე, მითითებულია რომ გარდა ზემოაღნიშნული

შემარბილებელი ღონისძიებებისა, შესაძლოა საჭირო გახდეს სხვა სახის შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რაც დამოკიდებული იქნება შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკასა და მასშტაბზე.

საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების მიზანია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება და სტრატეგიულ დოკუმენტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტების გათვალისწინება.

წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის ნახსენები გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლის არსებობა, რომელსაც კვეთს საპროექტო არეალი. ამასთან, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ვერ ხერხდება იმ ქმედებების (საქმიანობების) იდენტიფიცირება, რაც დაგეგმილია ბუნების ძეგლის გადაფარვის ადგილას ან უშუალოდ მის მიმდებარედ. გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, პროექტის დაგეგმვისას ბუნების ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე ან უშუალოდ მოსაზღვრედ არ უნდა დაიგეგმოს ისეთი სამუშაოები, რაც გამოიწვევს ბუნების ძეგლზე რაიმე სახის ზემოქმედებას.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტაციის მიხედვით, დოკუმენტით გათვალისწინებული ტერიტორია მსხვილი ძუძუმწოვრებისთვის და მტაცებლებისთვის საბინადრო გარემოს არ წარმოადგენს, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელება გავლენას იქონიებს ცხოველთა გადაადგილებასა და საკვების ხელმისაწვდომობაზე.

„კურორტ „გოდერძის“ მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმა“ ახდენს ამჟამად გაუნაშენებელი ტერიტორიის განაშენიანებას. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული დოკუმენტის გეგმაში არ არის მოცემული ინფორმაცია საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის შესახებ, აღნიშნულმა გეგმამ უნდა დაადგინოს სამომავლო განვითარების ჩარჩო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I და II დანართებით გათვალისწინებული კონკრეტული საქმიანობებისთვის, განსაზღვროს მათი მოცულობები და მასშტაბები. სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციების განხორციელების შედეგად მოსალოდნილია ზემოქმედება ტერიტორიაზე არსებულ ნიადაგზე, ატმოსფერულ ჰაერსა და წყლის ობიექტებზე. დოკუმენტით გათვალისწინებული კონცეფციების განხორციელებით გარკვეულ ტერიტორიაზე შეიცვლება ნიადაგის საფარი, ასევე არსებული ლანდშაფტი. ტერიტორიის განაშენიანებას მოჰყვება ტურისტული ნაკადის ზრდა, შესაბამისად, გაიზრდება წყლის რესურსებზე მოთხოვნა. ნარჩენების გენერირება მოსალოდნელია როგორც მშენებლობის, ასევე დოკუმენტით გათვალისწინებული კონცეფციების განხორციელების შემდგომ. სამშენებლო პერიოდში ადგილი ექმება ხმაურის მომატებას, ატმოსფერულ ჰაერში მტვრის და სატრანსპორტო გამონაბოლქვის გავრცელებას. ვინაიდან გარემოს დაცვის თვალსაზრისით ამ ეტაპზე არ არის ჩატარებული შესაბამისი საბაზისო კვლევები,

შესაძლებელია წარმოდგენილი გეგმით გათვალისწინებულმა საქმიანობებმა გამოიწვიოს გარემოზე ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც საჭიროებს შეფასებას და შესწავლას. ამასთან სგშ-ის ეტაპზე უნდა დადგინდეს გარემოსდაცვითი რისკები და განისაზღვროს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირების ღონისძიებები.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-20 მუხლის მე-5 ნაწილისა და 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,</u>

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის „კურორტ „გოდერძის" მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის" სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი დაქვემდებარების თაობაზე;
2. ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროსა და ხულოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდსა და ხულოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი